

სსიპ „საქართველოს იუსტიციის  
სახელმწიფო ცენტრი“



წიგნაკრები

2014

## შესავალი

2014 წელს იუსტიციის სასწავლო ცენტრში განხორციელდა რებრენდინგი, შეიცვალა ლოგო და შეიქმნა ახალი საფირმო სტილი, რომელიც სრულად პასუხობს ცენტრის მრავალფეროვან მიზნებსა და საქმიანობას. გარდა ამისა, ცენტრმა დაიწყო დამოუკიდებლად არსებობა უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ თბილისის ოფისში. ასევე, იუსტიციის სასწავლო ცენტრში შეიქმნა სამსახურები, დამტკიცდა ახალი დებულება.

2014 წლიდან, იუსტიციის სასწავლო ცენტრი საქმიანობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, რასაც ადასტურებს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა - ISO 9001 (მოქმედების ვადა: 05.09.2014 -04.09.2017).

2014 წელს იუსტიციის სასწავლო ცენტრის სასწავლო მიზნით განხორციელებულ ღონისძიებაში ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის **4342** წარმომადგენელი, ხოლო ტესტირება გაიარა - **16966-მა** კანდიდატმა. სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსს 2014 წელს ჰყავდა **2244** სტუმარი.

წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების სტატისტიკური ანალიზი გაკეთდა ახლადშექმნილი სამსახურების მიხედვით. სტატისტიკური ანალიზის შედეგები მოცემულია ანგარიშში თვალსაჩინო დიაგრამებისა და ცხრილების სახით.

## სარჩევი

1. შესავალი
2. ტესტირების მიმართულება
  - 2.1. ტესტის შექმნის სამსახური
  - 2.2. ტესტირების კოორდინაციის სამსახური
3. ტრენინგების მიმართულება
  - 3.1. იურიდიული სწავლების ტრენინგების სამსახური
  - 3.2. სოციალური უნარების ტრენინგების სამსახური
  - 3.3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების ტრენინგების სამსახური
  - 3.4. ფინანსური მიმართულების ტრენინგების სამსახური
  - 3.5. განხორციელებული პროექტები
4. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსი

## 2. ტესტირების მიმართულება

სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრში ტესტირების მიმართულებით საქმიანობას უზრუნველყოფენ ტესტის შექმნის და ტესტირების კოორდინაციის სამსახურები, რომელთა მიზანს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ-ებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში კვალიფიკაციური კადრის შერჩევის მიზნით სასელექციო ტესტების შემუშავება და მათი ადმინისტრირების უზრუნველყოფა. აგრეთვე, საჯარო მოხელეთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამდლების მიზნით, საკვალიფიკაციო და სასერტიფიკაციო გამოცდების უზრუნველყოფა.

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტესტირების მიმართულების ძირითადი საქმიანობის სფეროა საკვალიფიკაციო, სასერტიფიკაციო და საკონკურსო ტესტების შემუშავება და ადმინისტრირება.

### 2.1. ტესტის შექმნის სამსახური

„საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ დებულების მიხედვით, ტესტის შექმნის სამსახურის ამოცანებია:

- ა) ტესტური დავალებების მომზადება დამკვეთი პირების საჭიროებების გათვალისწინებით და ამ მიზნით, ექსპერტებთან თანამშრომლობა;
- ბ) მაღალკვალიფიციური, სანდო და განახლებადი ტესტური დავალებების ბანკის შექმნა.

**2014 წლის განმავლობაში** სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტესტის შექმნის სამსახურმა შეიმუშავა სხვადასხვა სპეციფიკის წერითი დავალება, ასევე, მრავალი პროფესიული თუ ზოგადი უნარის სატესტო მაგალითი და წარმატებით ითანამშრომლა შემდეგ სამსახურებთან:

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**

- 1. ადმინისტრაციის მრჩეველის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი

2. ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ვაკანსიისთვის - წერიტი დავალება და შეფასების კრიტერიუმები
3. ეკონომიკური დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს მრჩევლის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
4. ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალისტის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი ( MS Excel-ის ცოდნის შეფასება)
5. ეკონომიკური დეპარტამენტის ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს მრჩევლის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
6. ადმინისტრაციული დეპარტამენტის მრჩევლის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
7. შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი

### **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**

1. თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
2. შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
3. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს უფროსის მოადგილის ვაკანსიისთვის - წერიტი დავალება, არგუმენტირებული ესსე (შემუშავდა შეფასების კრიტერიუმები და შეფასდა აპლიკანტთა ნაშრომები)
4. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილის ვაკანსიისთვის - წერიტი დავალება (თემა შეფასების კრიტერიუმებთან ერთად)
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაეროში სამოქალაქო წარმომადგენლის ვაკანსიისთვის - წერიტი დავალება (თემა შეფასების კრიტერიუმებთან ერთად)
6. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
7. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ვაკანსიისთვის - წერიტი დავალება (თემა შეფასების კრიტერიუმებთან ერთად)

### **სსიპ იუსტიციის სახლი**

1. შესყიდვების სამსახურის მრჩევლის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
2. იურიდიული სამსახურის მრჩევლის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი

### **სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი**

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა დამკვეთის მიერ მოწოდებული თემატიკის საფუძველზე, მოამზადა პროფესიული და ზოგადი უნარების ტესტები შემდეგი ვაკანსიებისთვის:

1. ადმინისტრაციის სამმართველოს უფროსი
2. დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველოს უფროსი
3. დანაშაულის პირველი დონის პრევენციის სამმართველოს უფროსი
4. კვლევისა და სერვისების განვითარების სამმართველოს უფროსი
5. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს უფროსი
6. ფინანსური მენეჯერი

ასევე, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის სხვადასხვა სამართველოსთვის, მოწოდებული თემატიკის საფუძველზე, მოამზადა 7 კომბინირებული ტესტი (ზოგადი უნარების და პროფესიული ცოდნის).

### **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

1. პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრატორებისა და შტატგარეშე მოსამსახურეების ვაკანსიებისთვის - პროფესიული ტესტები
2. შიდა კონტროლის სამსახურის ვაკანსიებისთვის (შიდა კონტროლის სამსახურის ინსპექტორი და შიდა კონტროლის სამსახურის უფროსი ინსპექტორი) - პროფესიული ტესტი
3. მონაცემთა დამუშავებისა და განახლების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურის ვაკანსიისთვის - კომბინირებული ტესტი (პროფესიული ცოდნის და ზოგადი უნარების ტესტი)
4. შესყიდვების სამსახურის უფროსის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
5. იურიდიული დეპარტამენტის იურისტის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი;

### **სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო**

1. პროექტის ფინანსური მენეჯერის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი
2. დამისამართების ოპერატორის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი (MS Excel-ის პრაქტიკული ცოდნის შეფასება)

### **სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური**

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, დამკვეთის მიერ მოწოდებული თემატიკის საფუძველზე, მოამზადა პროფესიული ტესტი თანამშრომლების ტრენინგის შემდგომი გამოცდისთვის.

### **სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო**

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, მოამზადა ზოგადი უნარების ტესტი აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორებისთვის.

### **სსიპ სმართ ლოჯიკი**

ადამიანური რესურსების მენეჯერის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტები (ტესტი 4 არჩევითი პასუხით და 1 წერითი დავალება - თემა შეფასების კრიტერიუმებთან ერთად).

### **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია**

დამკვეთის მიერ მოწოდებული თემატიკის საფუძველზე, შემუშავდა პროფესიული ტესტის 2 ვარიანტი, თანამშრომელთა ტრენინგის შემდგომი სასერტიფიკაციო გამოცდისთვის.

### **მუნიციპალიტეტების კონკურსი/ატესტაცია**

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა დამკვეთის მიერ მოწოდებული თემატიკის საფუძველზე მოამზადა კომბინირებული (პროფესიული ცოდნის და ზოგადი უნარების) ტესტები.

### **სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტები)**

გუბერნატორის ადმინისტრაციის მოხელეთა შესარჩევი კონკურსისთვის მომზადდა პროფესიული ტესტი.

### **ხაშურის მუნიციპალიტეტი**

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მოხელეთა ვაკანსიებისთვის - პროფესიული ტესტები. გამგეობის მოხელეთა ვაკანსიებისთვის - ტესტის 2 ვარიანტი. საკრებულოს მოხელეთა ვაკანსიებისთვის - ტესტის 1 ვარიანტი.

### **ყვარლის მუნიციპალიტეტი**

სოფელ ახალსოფლის #2 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის ვაკანსიისთვის - პროფესიული ტესტი.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია (ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები)

პროფესიული ტესტის 4 განსხვავებული ვარიანტი სხვადასვა სამსახურის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსანტთა შესარჩევად.

### **შპს “steady logic”**

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა შპს “steady logic” -ის სტაჟიორებისთვის შეიმუშავა უნარების ტესტი.

### **შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის“ ცენტრი**

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, დამკვეთის მიერ მოწოდებული თემატიკის საფუძველზე მოამზადა კომბინირებული ტესტების (პროფესიული ცოდნის და ზოგადი უნარების) 7 ვარიანტი.

ასევე, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N68 ბრძანების საფუძველზე, მოამზადა ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის ზოგადი უნარების და პროფესიული ცოდნის შესაფასებელი ტესტები.

## **2.2. ტესტირების კოორდინაციის სამსახური**

ტესტირების კოორდინაციის სამსახურის ამოცანაა სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სტაჟიორების, აგრეთვე, სხვა დაინტერესებულ პირთა სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული გამოცდების, ატესტაციებისა და ტესტირებების ორგანიზება ან/და ადმინისტრირება.

2014 წლის განმავლობაში იუსტიციის სასწავლო ცენტრის კოორდინაციის სამსახურმა მოახდინა საკვალიფიკაციო, სასერტიფიკაციო და საკონკურსო ტესტირებების ადმინისტრირება.

### **1. ვაკანტური თანამდებობების დასაკავებელი ტესტირებები**



იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის მეორე ეტაპის ტესტირების პროცესი გაიარა 6334 აპლიკანტმა, აქედან ყველაზე წარმატებულები დასაქმდნენ სახელმწიფო უწყებებში.

## **2. სასერტიფიკაციო გამოცდები**

სხვადასხვა სასწავლო პროგრამის დაუფლების შემდგომ სერტიფიცირებისთვის გამოცდა გაიარა 909 აპლიკანტმა.

## **3. საკვალიფიკაციო გამოცდა**

ნოტარისუთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირდა და გაიარა 219 იურისტმა. წარმატებულ მონაწილეებს გადაეცათ საკვალიფიკაციო სერტიფიკატი.

## **4. სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი**


საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობით, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყო პროკურატურის სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1696-მა იურისტმა. წარმატებული აპლიკანტები გადიან ერთწლიან სტაჟირებას საქართველოს პროკურატურის ქვეუწყებებში.

## **5. უცხოური ენის ტესტი**

უცხოური ენის ცოდნის ამაღლების მიზნით ჩატარებული ტრენინგებისთვის პრეტესტი გაიარა იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების 101 თანამშრომლებმა.

## **6. ატესტაცია**

პროფესიული ცოდნის შეფასების მიზნით პროფესიული ატესტაცია გაიარა 591-მა თანამშრომელმა.




ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპი

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა უზრუნველყო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაცია/ტესტირების ეტაპი.

პროექტი აქტიურ ფაზაში შევიდა ოქტომბრის თვეში და გაგრძელდება 2015 წლის ჩათვლით. 2014 წლის მონაცემებით სასწავლო ცენტრთან ითანამშრომლა 30-მა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ.

ტესტირების პროცესი გაიმართა საქართველოს 7 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ყვარელი, გურჯაანი, მესტია) და ტესტირების ეტაპი გაიარა 7116 ადამიანმა.



2014 წელს ტესტირების კოორდინაციის სამსახურის სერვისით ისარგებლა 16966 აპლიკანტმა მთელი საქართველოს მასშტაბით.

**ტესტირების კოორდინაციის სამსახურის მომსახურებით 2014 წლის განმავლობაში ისარგებლა სხვადასხვა სამსახურმა:**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- სსიპ „იუსტიციის სახლი“
- სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“
- სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიური“
- სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“
- სსიპ „დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროექტების ცენტრი“
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- სხვადასხვა კერძო კომპანიები

### 3. ტრენინგების მიმართულება

#### 3.1. იურიდიული ტრენინგების სამსახური

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი სასწავლო პროგრამების მეშვეობით მონაწილეობს საქართველოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში, ასევე, როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებში სამართლებრივი მიმართულებით კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

2014 წლის განმავლობაში, იურიდიული ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა 18 განსხვავებულ თემაზე სასწავლო აქტივობები 101 სხვადასხვა ჯგუფისათვის. ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 1860-მა წარმომადგენელმა, მათ შორის იყვნენ სტუდენტები.

2014 წელს იურიდიული თემები, რომლებზეც განსაკუთრებით მაღალი იყო მოთხოვნა:

| N    | დასახელება                 | მონაწილეთა რაოდენობა |
|------|----------------------------|----------------------|
| 1.   | ადმინისტრაციული სამართალი  | 188                  |
| 2.   | პერსონალურ მონაცემთა დაცვა | 380                  |
| 3.   | სამართლებრივი წერა         | 181                  |
| 4.   | შრომის სამართალი           | 112                  |
| სულ: |                            | 861                  |

გაეროს განვითარების ფონდის UNDP-ის მხარდაჭერით ს.ს.ი.პ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ციკლი 4 განსხვავებულ თემაზე. ტრენინგების მიზანია იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების მომზადება ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის განსახორციელებლად.

| N  | დასახელება                                     | მონაწილეთა რაოდენობა |
|----|--|----------------------|
| 1. | სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის | 25                   |

|  |     |
|--|-----|
| სასამართლოში   |     |
| 2. ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში | 28  |
| 3. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი                                | 27  |
| 4. საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი                             | 28  |
| სულ:   | 108 |

2014 წლის იანვრიდან, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ახორციელებს სასერტიფიკაციო სასწავლო პროგრამებს საჯარო რეესტრის ავტორიზებული პირებისთვის. სასწავლო ცენტრში მოქმედებს საჯარო რეესტრის ავტორიზებული პირების ოთხი პროგრამა. ტრენინგის შემდეგ, მონაწილეებს უტარდებათ სასერტიფიკაციო გამოცდა, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გაიცემა სერტიფიკატი. იუსტიციის სასწავლო ცენტრის სერტიფიკატი არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირის სტატუსის მოპოვების წინაპირობა. 2014 წლის განმავლობაში ოთხივე პროგრამის ფარგლებში ტრენინგი გაიარა ჯამში 783-მა პირმა.

| N    | დასახელება   | მონაწილეთა რაოდენობა |
|------|--|----------------------|
| 1.   | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო სწავლების პროგრამა - <b>NAPRWEB 3.5</b> | 592                  |
| 2.   | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო სწავლების პროგრამა - <b>NAPREG</b>      | 52                   |
| 3.   | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო სწავლების პროგრამა - <b>MMR</b>         | 4                    |
| 4.   | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკაციო სწავლების პროგრამა - <b>ENREG</b>       | 135                  |
| სულ: |  | 783                  |

გერმანიის სამართლებრივი განვითარების ფონდის (IRZ) მხარდაჭერით ადამიანის უფლებათა დაცვის სერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 10-12 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა **ორგანიზება გაუწია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციაზე სემინარს.**

სემინარის მიზანს წარმოადგენდა ევროპული კონვენციის უმნიშვნელოვანესი მუხლების მიმოხილვა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სამართალგამოყენების ეტაპზე პრეცედენტული სამართალით დადგენილი ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესს.

| N    | უწყება                                   | მონაწილეთა რაოდენობა |
|------|--|----------------------|
| 1.   | იუსტიციის სამინისტრო,                    | 2                    |
| 2.   | საქართველოს მთავარი პროკურატურა          | 4                    |
| 3.   | საერთო სასამართლოები                     | 4                    |
| 4.   | შინაგან საქმეთა სამინისტრო               | 3                    |
| 5.   | სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო | 3                    |
| 6.   | იურიდიული დახმარების სამსახური           | 2                    |
| 7.   | ადვოკატთა ასოციაცია                      | 5                    |
| სულ: |  | 23                   |

### 3.2. სოციალური უნარების ტრენინგების სამსახური

2014 წლის განმავლობაში, სოციალური უნარების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა შინაარსის სასწავლო აქტივობა 118 სხვადასხვა ჯგუფისათვის. ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 1501-მა წარმომადგენელმა, მათ შორის იყვნენ სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები.

2014 წელს სასწავლო აქტიობა განხორციელდა პიროვნული და ორგანიზაციული განვითარების შემდეგ თემებზე:

| N    | დასახელება  | მონაწილეთა რაოდენობა |
|------|---|----------------------|
| 5.   | რე-ტრენინგი გუნდისა და პიროვნული რესურსების განვითარებისათვის | 1027                 |
| 6.   | ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება                          | 194                  |
| 7.   | ტრენერთა ტრენინგი   | 48                   |
| 8.   | ეფექტიანი კომუნიკაცია და რთული სიტუაციების მართვა             | 31                   |
| 9.   | ზოგადი მენეჯმენტი   | 26                   |
| 10.  | სტრესის მართვის ტექნიკები                                     | 23                   |
| 11.  | ნივთიერებაზე დამოკიდებულ ადამიანთან მუშაობის სპეციფიკა        | 23                   |
| 12.  | მომალადესთან და მსხვერპლთან მუშაობის სპეციფიკა                | 23                   |
| 13.  | პრეზენტაციული უნარები   | 23                   |
| 14.  | პრეზენტაციული უნარების ტრენინგი სასამართლო პროცესისათვის      | 17                   |
| 15.  | ეფექტიანი კომუნიკაცია   | 14                   |
| 16.  | გუნდური შეჭიდულობა  | 13                   |
| 17.  | მომსახურების მართვა   | 8                    |
| 18.  | პრეზენტაციული უნარები და შთაბეჭდილების მენეჯმენტი             | 7                    |
| 19.  | ეფექტიანი სატელეფონო მომსახურება                              | 6                    |
| 20.  | ასერტიულობა   | 1                    |
| 21.  | საინფორმაციო შეხვედრები                                       | 17                   |
| სულ: |   | 1501                 |

ანალიზის შედეგები სამიზნე ჯგუფების მიხედვით

სოციალური ტრენინგების მიმართულების სტატისტიკა სამიზნე ჯგუფების მიხედვით<sup>1</sup>:

| სოციალური ტრენინგების მიმართულება                |                      |
|--|----------------------|
| სამიზნე ჯგუფი                                    | მონაწილეთა რაოდენობა |
| სსიპ იუსტიციის სახლი                             | 1167                 |
| სსიპ აღსრულების ეროვნული ბიური                   | 57                   |
| სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი                | 97                   |
| სსიპ „სმართ ლოჯიკ“                               | 31                   |
| სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | 32                   |
| სსიპ საკანონმდებლო მაცნე                         | 8                    |
| სამინისტროს აპარატი                              | 7                    |
| მთავრობის კანცელარია                             | 10                   |
| პრეზიდენტის ადმინისტრაცია                        | 7                    |
| გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)              | 23                   |
| საგარეო საქმეთა სამინისტრო (კონსულები)           | 8                    |
| სტუდენტები                                       | 17                   |
| თბილისის მერია და მუნიციპალიტეტები               | 15                   |

<sup>1</sup> მონაწილეთა ჯამური რაოდენობა დათვლილია სხვადასხვა ცალკეული ტრენინგების მონაწილეების რაოდენობების შეჯამებით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი კანდიდატი წლის განმავლობაში ერთდროულად რამდენიმე ტრენინგს გადის, შესაბამისად ჯამურ სტატისტიკაში რამდენჯერმეა გათვალისწინებული.



### სსიპ იუსტიციის სახლი

სასწავლო ცენტრის მიერ ეფექტიან კომუნიკაციასა და მომსახურებაში პერიოდულად - 6 თვეში ერთხელ ტარდება იუსტიციის სახლის წინა ხაზის თანამშრომელთა ე.წ. რე-ტრენინგები, განახლებული სასწავლო პროგრამებით.

რე-ტრენინგების მიზანია იუსტიციის სახლებში მოქალაქეთა ეფექტური მომსახურების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

2014 წელს რე-ტრენინგი ორჯერ ჩატარდა შემდეგი იუსტიციის სახლების თანამშრომელთათვის:

| თებერვალი-ივნისი, 2014 წელი                                   |     | ოქტომბერი-ნოემბერი, 2014 წელი      |     |
|---|-----|------------------------------------|-----|
| რე-ტრენინგი გუნდისა და პიროვნული რესურსების განვითარებისათვის |     | რე-ტრენინგი ეფექტიან მომსახურებაში |     |
| თბილისი   | 209 | თბილისი                            | 250 |
| ბათუმი  | 44  | ბათუმი                             | 46  |
| ქუთაისი   | 40  | ქუთაისი                            | 45  |
| გორი  | 24  | გორი                               | 25  |
| მარნეული  | 20  | მარნეული                           | 22  |
| სატელეფონო სამსახური  | 20  | სატელეფონო სამსახური               | 31  |
| რუსთავი   | 24  | რუსთავი                            | 32  |
| თელავი  | 16  | თელავი                             | 20  |
| გურჯაანი  | 13  | გურჯაანი                           | 12  |
| ახალციხე  | 11  | ახალციხე                           | 13  |
| ოზურგეთი  | 10  | ოზურგეთი                           | 13  |
| ყვარელი   | 9   | ყვარელი                            | 8   |
| ბანკები   | 49  | ზუგდიდი                            | 21  |

სულ:

489


სულ:

538

გარდა ამისა, იუსტიციის სახლების თანამშრომელთათვის 2014 წელს ჩატარდა შემდეგი სახის ტრენინგები (იხ. დიაგრამა1):

| სატრენინგო პროგრამის დასახელება      | მონაწილეთა რაოდენობა |
|--------------------------------------|----------------------|
| რე-ტრენინგები                        | 1027                 |
| ტრენერთა ტრენინგი                    | 39                   |
| ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება | 101                  |
| ჯამური მაჩვენებელი:                  | 1167                 |

დიაგრამა 1. იუსტიციის სახლის თანამშრომელთათვის ჩატარებული ტრენინგები




### სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო

2014 წელს აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლები გადამზადდნენ 2 მიმართულებით:

1. ეფექტიანი კომუნიკაცია და რთული სიტუაციების მართვა - ტრენინგის მიზანი იყო აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებისთვის მოქალაქეთა ეფექტიანი მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნის მიღება, მომსახურების სტანდარტებისა და ძირითადი პრინციპების გაცნობა, ეფექტიანი მომსახურებისათვის საჭირო უნარების განვითარება.
2. ზოგადი მენეჯმენტი - ტრენინგის მიზანი იყო ზოგადი მენეჯმენტის საკითხებზე თანამშრომელთა ცოდნის დონის გაღრმავება და შესაბამისი უნარების განვითარება, ორგანიზაციული მართვის პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის.

**დიაგრამა 2.** აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელთათვის ჩატარებული ტრენინგები



### სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

2014 წელს დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლები გადამზადდნენ შემდეგი მიმართულებით (თითოეული ტრენინგი გაიარა 23-მა მოაწილემ):

1. სტრესის მართვის ტექნიკები
2. ნივთიერებაზე დამოკიდებულ ადამიანთან მუშაობის სპეციფიკა
3. მოძალადესთან და მსხვერპლთან მუშაობის სპეციფიკა
4. ეფექტიანი კომუნიკაცია

ასევე, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ერთი ბენეფიციარისთვის სასწავლო ცენტრის ტრენერის (ფსიქოლოგის) მიერ ჩატარდა ასერტიულობის ტრენინგი. ხოლო, გუნდური შეჭიდულობის ტრენინგი ჩატარდა „ლიდერთა სახლის“ 13 კოორდინატორისთვის.

### სსიპ „სმართ ლოჯიქ“

2014 წელს „სმართ ლოჯიქ“-ის თანამშრომლები გადამზადდნენ შემდეგი მიმართულებით:

1. ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება - ტრენინგი გაიარა 25-მა კანდიდატმა
2. ეფექტიანი სატელეფონო მომსახურება- ტრენინგი გაიარა 6-მა კანდიდატმა

**სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო**

2014 წელს სერვისების განვითარების სააგენტოს 32 თანამშრომლი გადამზადდა ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურების სტანდარტებში. მათ შორის, ტრენინგი ჩატარდა საზოგადოებრივი ცენტრების ოპერატორთა გადამზადების კურსის ფარგლებში.

**სსიპ საკანონმდებლო მაცნე**

2014 წელს საკანონმდებლო მაცნეს 8 თანამშრომლი გადამზადდა ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურების სტანდარტებში.

**იუსტიციის სამინისტროს აპარატი**

პრეზენტაციული უნარებისა და შთაბეჭდილების მენეჯმენტის ტრენინგი ჩატარდა აპარატის 7 თანამშრომელს.

| N  | ორაგნიზაცია                            | ტრენინგის დასახელება                 | მონაწილეთა რაოდენობა |
|----|--|--------------------------------------|----------------------|
| 1. | მუნიციპალიტეტები და თბილისის მერია     | ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება | 15                   |
| 2. | მთავრობის კანცელარია                   | ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება | 10                   |
| 3. | გაეროს განვითარების პროგრამა ( UNDP);  | პრეზენტაციული უნარები                | 23                   |
| 4. | საგარეო საქმეთა სამინისტრო (კონსულეტი) | მომსახურების მართვა                  | 8                    |

|                                 |  |    |
|---------------------------------|--|----|
| 5. სტუდენტები                   | პრეზენტაციული უნარების<br>ტრენინგი სასამართლო<br>პროცესისათვის | 17 |
| 6. პრეზიდენტის<br>ადმინისტრაცია | ეფექტიანი კომუნიკაცია და<br>მოსმახურება                        | 7  |
| სულ                             |  | 80 |

**სამინისტროს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა უწყებებისთვის ჩატარებული ტრენინგები**

2014 წლის განმავლობაში, გარდა იუსტიციის სამინისტროს აპარატისა და დაქვემდებარებული სსიპ-ებისთვის ჩატარებული ტრენინგებისა, სასწავლო ცენტრის სოციალური უნარების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა არაერთი პროექტი სხვა დაინტერესებული როგორც საერთაშორისო, ასევე საჯარო ორგანიზაციისთვის, მათ შორის სტუდენტებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სოციალური ტრენინგების სამსახური ჩართული იყო ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს ერთიანი საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერის პროცესში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (9 თანატოლგანმანათლებელი) და საინფორმაციო შეხვედრები 8-11 კლასის მოსწავლეებთან (17 მონაწილე).

**3.3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ტრენინგების სამსახური**

2014 წლის განმავლობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა შინაარსის სასწავლო აქტივობა 7 სხვადასხვა ჯგუფისათვის. ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 103-მა წარმომადგენელმა.

2014 წელს სასწავლო აქტივობა განხორციელდა შემდეგ თემებზე:

| N  | დასახელება  | მონაწილეთა რაოდენობა |
|----|---|----------------------|
| 1. | დოკუმენტ მენეჯმენტ-სისტემის ტრენინგი (SharePoint) | 47                   |
| 2. | საბაზისო კომპიუტერული უნარების ტრენინგი           | 14                   |
| 3. | ინფორმაციული უსაფრთხოება                          | 13                   |

|      |                           |     |
|------|---------------------------|-----|
| 4.   | გეოინფორმაციული სისტემები | 8   |
| 5.   | ინციდენტების მართვა       | 21  |
| სულ: |                           | 103 |

### ანალიზის შედეგები სამიზნე ჯგუფების მიხედვით

სოციალური ტრენინგების მიმართულების სტატისტიკა სამიზნე ჯგუფების მიხედვით<sup>2</sup>:

| სოციალური ტრენინგების მიმართულება |                      |
|-----------------------------------|----------------------|
| სამიზნე ჯგუფი                     | მონაწილეთა რაოდენობა |
| სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი | 14                   |
| სამინისტროს აპარატი               | 47                   |
| სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო   | 34                   |
| სსიპ საჯარო რეესტრი               | 8                    |
| სულ:                              | 103                  |

<sup>2</sup> მონაწილეთა ჯამური რაოდენობა დათვლილია სხვადასხვა ცალკეული ტრენინგების მონაწილეების რაოდენობების შეჯამებით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი კანდიდატი წლის განმავლობაში ერთდროულად რამდენიმე ტრენინგს გადის, შესაბამისად ჯამურ სტატისტიკაში რამდენჯერმეა გათვალისწინებული.

### **სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი**

2014 წელს სსიპ დანაშაული პრევენციის ცენტრის 8 ბენეფიციარმა გაიარა ტრენინგი:

საბაზისო კომპიუტერული უნარები - ტრენინგის მიზანია კომპიუტერთან და ყველაზე ფართოდ გამოყენებად საოფისე პროგრამებთან მუშაობის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღება.

### **იუსტიციის სამინისტროს აპარატი**

2014 წელს იუსტიციის სამინისტროს აპარატის 47-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი:

დოკუმენტ მენეჯმენტ-სისტემის ტრენინგი (SharePoint) - ტრენინგის მიზანი იყო სამინისტროს აპარატის თანამშრომლებისათვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში მუშაობისათვის აუცილებელი ცოდნის მიღება და პროგრამის სპეციფიკის გაცნობა.

### **სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო**

2014 წელს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დაკვეთით, სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის 34 თანამშრომლისთვის ჩატარდა ტრენინგი 2 მიმართულებით:

1. „ინციდენტების მართვა“ - სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის 21 თანამშრომელი;
2. „ინფორმაციული უსაფრთხოება“ - სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის 13 თანამშრომელი;

### **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

2014 წელს სერვისების განვითარების სააგენტოს დაკვეთით, გორის მუნიციპალიტეტის 8 თანამშრომელს ჩატარდა ტრენინგი:

„გეოინფორმაციული სისტემები“ - გორის მუნიციპალიტეტის 8 თანამშრომელი;

## **3.4. ფინანსური ტრენინგების სამსახური**

ფინანსური მიმართულების ტრენინგის სამსახურმა იუსტიციის სასწავლო ცენტრში ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის თებერვლიდან. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სასწავლო მოდულების შექმნა, უკვე შექმნილია ორი სასწავლო მოდული, რომელზეც ტრენინგები

დაიწყება აპრილის მეორე ნახევრიდან, ასევე მოდულის შექმნა მიმდინარეობს ორ სასწავლო მოდულზე: ბუღალტრული აღრიცხვა და პროგრამული ბიუჯეტირება და ფინანსური მენეჯმენტი, რომელიც გათვლილი იქნება საჯარო მოხელეებისთვის. კერძო სექტორისთვის იქმნება ტრენინგ-პროგრამა ფინანსები არაფინანსისტებისთვის, რომლის განხორციელება იგეგმება მისის ბოლოდან.



### 3.5. განხორციელებული პროექტები

2014 წელს სხვადასხვა პროექტში მონაწილეობა 880-მა მონაწილემ მიიღო.

1. უცხო ენების კურსები - ფრანგული ენა (16 მონაწილე), ინგლისური ენა (55 მონაწილე), რუსული ენა - 14.
2. სამართლებრივი რეფორმის მხარდაჭერა - მოწმის გამოკითხვა - მიზნობრივი ჯგუფი: პროკურატურა, შსს, ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და სასწავლო ცენტრი (საანგარიშო პერიოდში გადამზადდა 76 კანდიდატი);
3. საჯარო ლექციები (საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო 313-მა მსმენელმა);
4. შეხვედრა პოლონელ და ქართველ სტუდენტებთან (40 სტუდენტი);
5. "ეროვნული შეჯიბრი ჰუმანიტარულ სამართალში" (სემინარები და შეჯიბრი) (18 სტუდენტი)
6. იმიტირებული პროცესი ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის შესახებ (40 მონაწილე);
7. "არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში" (სემინარები და კონფერენცია) (90 სტუდენტი);
8. ვოშბორნის უნივერსიტეტის პროფესორთა ტრენინგი "სახელმწიფო ანგარიშების წერის საუკეთესო პრაქტიკა" (20 მონაწილე);
9. კონფერენცია: „მედიაცია საქართველოში, გამოწვევები და პერსპექტივები“ (40 მონაწილე);
10. კონფერენცია: „სტამბოლის პროტოკოლი, წამებისა და პატიმრობის შედეგები, კომპლექსური რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები“ (40 მონაწილე);
11. დანაშაულის პრევენციის ცენტრის სამუშაო შეხვედრის ორგანიზება (30 მონაწილე);
12. მიგრაციის სასწავლო კურსი PR სამსახურის თანამშრომლებისთვის (16 მონაწილე);
13. იმიტირებული სასამართლო პროცესი სკოლის მოსწავლეებისთვის (24 მონაწილე);
14. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა (12 მონაწილე);
15. სამართლის სკოლა თემაზე - „ევროკავშირის სამართალი“ (36 მონაწილე).

## 4 სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსი

2014 წელს საანგარიშო პერიოდში ყვარლის სასწავლო ცენტრმა უმასპინძლა 59 ღონისძიებას, სტუმართა რაოდენობამ შეადგინა **2244** (სტუმართა ნაწილი არ სარგებლობდა სასტუმროს მომსახურებით). მათ შორის იყო სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, ტესტირებები და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. ყვარლის სასწავლო ცენტრის მომსახურებით სარგებლობდნენ როგორც იუსტიციის სამინისტრო, მის დაქვემდებარებაში შემავალი სსიპები, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები.

2014 წლის განმავლობაში ყვარელში ჩატარდა :

- 28 სამუშაო შეხვედრა** (მონაწილეობდა **974** ადამიანი)
- 26 ტრენინგი** (დატრენინგდა **633** ადამიანი)
- 3 ტესტირება** (ტესტირება გაიარა **581-მა** ადამიანმა)

**იუსტიციის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპების რეიტინგი (ყვარელში ჩანიშნულ ღონისძიებებზე დამსწრე ადამიანების რაოდენობის მიხედვით):**

1. სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა - **300** ადამიანი
2. სსიპ იუსტიციის სახლი - **213** ადამიანი
3. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი - **187** ადამიანი
4. იუსტიციის სამინისტრო - **158** ადამიანი
5. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - **64** ადამიანი
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - **54** ადამიანი
7. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო - **46** ადამიანი
8. სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - **44** ადამიანი
9. სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო - **42** ადამიანი

**2014 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებს, ყვარლის სასწავლო ცენტრში ესწრებოდა 158 ადამიანი:**

1. 2014 წლის 22-23 იანვარი, სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 9 ადამიანმა;

2. 2014 წლის 25-26 იანვარი, გაიმართა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 25 -მა ადამიანმა (იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, პროკურორები, გამომძიებლები, უნივერსიტეტის ლექტორები და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები)

3. 2014 წლის 17 მაისს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა **სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეფორმის გაფართოებული სამუშაო ჯგუფის გასვლითი შეხვედრა**. შეხვედრაზე მოხდა მოსამართლეთა სისტემის შეფასებასთან დაკავშირებით შემუშავებული კანონპროექტის პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი, მინისტრის მოადგილე და საბჭოს სხვა წევრები. შეხვედრას ესწრებოდა **31** მონაწილე.

4. 2014 წლის 19-20 ივლისს , ყვარლის სასწავლო ცენტრში ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, შეხვედრას ესწრებოდა 27 მონაწილე, მათ შორის საქართველოს იუსტიციის, განათლებისა და მეცნიერების, სასჯელაღსრულების, ჯანდაცვის მინისტრები.

5. 2014 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, ყვარლის სასწავლო ცენტრის კომპლექსში უმასპინძლა საქართველოში აკრედიტებული, სხვადასხვა ქვეყნების ელჩების მეუღლეებს.

6. 2014 წლის 17-19 ოქტომბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს **სამუშაო შეხვედრა**. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის** პირველადი პროექტის კომენტარების დეტალური განხილვა სახელმწიფო უწყების მიერ და პროექტის საბოლოო ვერსიაზე შეთანხმება. შეხვედრას ესწრებოდა **23** ადამიანი.

7. 2014 წლის 6-8 ნოემბერს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე : **“Investor state arbitration”** შეხვედრაში მონაწილეობდა **13** ადამიანი.

8. 2014 წლის 21-23 ნოემბერს, ყვარელში გაიმართა იუსტიციის სამინისტროს **სამუშაო შეხვედრა** მასმედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდა **34** ადამიანი.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ -ს მიერ, ყვარლის სასწავლო ცენტრში ჩატარებულ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს 2014 წლის განმავლობაში დაესწრო 187 ადამიანი:

1. 2014 წლის 30 იანვარი -4 თებერვალი, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს „**არასრულწლოვანთა განრიდებასა და მედიაციაში ჩართული პროფესიონალებისათვის**“ დაესწრო **51** ადამიანი. მართლმსაჯულების მიმართულეებით სპეციალიზებული პროკურორების ტრენინგები ეტაპობრივად ხორციელდება და მისი მიზანია გაუმჯობესდეს პროკურორების პროფესიული სტანდარტი, განხორციელდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში დაგეგმილი ცვლილებების სწორად იმპლემენტაცია და არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესზე ორიენტირებული სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება.
2. 2014 წლის 27-31 მარტს, ყვარლის სასწავლო ცენტრში საქართველოს სხვადასხვა რაიონის პროკურორები, პრობაციის ბიუროს უფროსები, იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლები, ასევე ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები და ფსიქოლოგები შეიკრიბნენ. ჩატარდა **ტრენინგი არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაციაში** რომელსაც ესწრებოდა **50 მონაწილე**; ტრენინგზე განიხილეს შემდეგი თემები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება დღეს, არსებული მდგომარეობა და გამოწვევები; ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი და ბავშვთა უფლებათა კონვენცია, აღდგენითი მართლმსაჯულება და მედიაცია.
3. 2014 წლის 5-7 სექტემბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა **სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის სამუშაო შეხვედრა**, 2014 წლის სტრატეგიული დაგეგმვის თემაზე. შეხვედრას ესწრებოდა **20** ადამიანი.
4. 2014 წლის 19-21 სექტემბერს, ყვარელში გაიმართა **ლიდერთა სახლის კოორდინატორების სამუშაო შეხვედრა**, შეხვედრაში მონაწილეობდა **15** ადამიანი.
5. 2014 წლის 8-9 ნოემბერს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა **სამუშაო შეხვედრა „ უწყებათაშორისი კოორდინაცია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის“**. მასში მონაწილეობდნენ სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. შეხვედრას ესწრებოდა **51** ადამიანი.

**სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2014 წელს ყვარელში ჩატარებულ ტრენინგებს დაესწრო 54 ადამიანი:**

1. 2014 წლის 3-6 თებერვალს, ყვარლის სასწავლო ცენტრში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ „მუნიციპალიტეტების ელექტრონული მართვის ტრენინგი“ ჩაუტარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მუნიციპალიტეტების 18 თანამშრომელს.
2. 2014 წლის 26-28 თებერვალს, ყვარლის სასწავლო ცენტრში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ „მუნიციპალიტეტების ელექტრონული მართვის ტრენინგი“ ჩაუტარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მუნიციპალიტეტების 18 თანამშრომელს.
3. 2014 წლის 13-19 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისათვის“ ფარგლებში , ყვარლის სასწავლო ცენტრში 22 ბიბლიოთეკარს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩაუტარდათ ტრენინგი. ტრენინგის ძირითადი თემა IT და მედია უნარების განვითარება იყო, მას უკრაინელი ექსპერტი ალექსანდრე შლიეინკოვი უძღვებოდა. მონაწილეებმა შეისწავლეს: აუდიო და ვიდეო მასალის დამუშავება, პროგრამული უზრუნველყოფა, ინფორმაციისა და ვიზუალიზაციის საბაზისო უნარები, ბლოგის შექმნა, ბლოგ-პოსტების გამოქვეყნება, ბიბლიოთეკის მუშაობის მონიტორინგი და სხვა.

**2014 წლის განმავლობაში სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტს, ყვარლის სასწავლო ცენტრში დაესწრო 42 ადამიანი:**

1. 2014 წლის 19-22 მარტს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა სემინარი, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ და ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამშობილების (Twinning) პროექტი - „ელექტრონული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“. სემინარის საბოლოო მიზანია, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით საქართველოში ელექტრონული მმართველობის საკითხებისადმი მას-მედიის წარმომადგენლებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, რათა შემდგომ უკეთ მოხდეს ამ თემების საზოგადოებისთვის გასაგები ფორმით გაშუქება. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 42-მა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების წარმომადგენელმა.

**2014 წელს სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ, ყვარლის სასწავლო ცენტრში გამართულ ღონისძიებებს სულ დაესწრო 300 ადამიანი:**

1. 2014 წლის 12 აპრილს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა ნოტარიატის რეფორმის პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც იუსტიციის მინისტრი -თეა წულუკიანი შეხვდა ქვეყნის მამულებით 180 მდე ნოტარიუსს.

2. 2014 წლის 9-10 აგვისტოს ყვარელში გაიმართა ნოტარიუსთა პალატის სამუშაო შეხვედრა, თემა : სანოტარო პრაქტიკის განზოგადება. შეხვედრას ესწრებოდა 55 ადამიანი.

3. 2014 წლის 23-24 აგვისტოს ყვარლის სასწავლო ცენტრმა უმსპინძლა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამუშაო შეხვედრას , შეხვედრას დაესწრო 58 ნოტარიუსი.

4. 2014 წლის 1-2 ნოემბერს, ყვარელში გაიმართა ნოტარიუსთა პალატის კომენტარების ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, შეხვედრას ესწრებოდა 7 ადამიანი.

**2014 წელს სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ჩანიშნულ ღონისძიებას, ყვარელში დაესწრო 44 ადამიანი:**

1. 2014 წლის 9-11 მაისს ყვარლის სასწავლო ცენტრში , საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის 23 თანამშრომელს ჩაუტარდა გუნდური შეჭიდულობის ტრენინგი.

2. 2014 წლის 25-27 ივლისს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებითა და GIZ-ის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი „ინფორმაციის თავისუფლება, საჯაროობის სამართლებრივი მოწესრიგება და პერსონალური მონაცემების დაცვა“. ტრენინგს ესწრებოდა 21 მონაწილე.

**2014 წელს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტებს, ყვარლის სასწავლო ცენტრში დაესწრო სულ 64 ადამიანი:**

1. 2014 წლის 24-25 მაისს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა სსიპ იუსტიციის სახლისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა საჯარო რეესტრის 13 თანამშრომელი.

2. 2014 წლის 30-31 ივლისს, ყვარელში გაიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტრენინგი. ტრენინგს ესწრებოდა 19 მონაწილე.

3. 2014 წლის 26-28 სექტემბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისთვის. ტრენინგს ესწრებოდა 32 ადამიანი.

**2014 წლის განავლობაში, იუსტიციის სახლის მიერ, ყვარლის სასწავლო ცენტრში ჩატარებულ ღონისძიებებს დაესწრო 213 ადამიანი:**

1. 2014 წლის 24-25 მაისს, საჯარო რეესტრისა და იუსტიციის სახლის ერთობლივ სამუშაო შეხვედრას, ყვარელში დაესწრო იუსტიციის სახლის 45 თანამშრომელი; შეხვედრაზე განიხილეს საჯარო რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული აქტუალური სამართლებრივი საკითხები

2. 2014 წლის 16-17 აგვისტოს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა იუსტიციის სახლის სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს 2014 წლის შუალედური ანგარიში. შეხვედრას ესწრებოდა 34 ადამიანი.

3. 2014 წლის 6-7 სექტემბერს ყვარლის სასწავლო ცენტრში, იუსტიციის სახლის 22 თანამშრომელს ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი.

4. 2014 წლის 13-14 სექტემბერს, ყვარელში ტრენინგთა ტრენინგი გაიარა იუსტიციის სახლის 16 თანამშრომელმა.

5. 2014 წლის 26-28 სექტემბერს, იუსტიციის სახლისა და საჯარო რეესტრის ერთობლივ სამუშაო შეხვედრას დაესწრო იუსტიციის სახლის 25 თანამშრომელი.

6. 2014 წლის 13-14 დეკემბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართ იუსტიციის სახლის სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 44 ადამიანი.

**2014 წელს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ , ყვარელში ჩანიშნულ სხვადასხვა ღონისძიებას დაესწრო 46 ადამიანი:**

1. 2014 წლის 4-6 ოქტომბერს ყვარლის სასწავლო ცენტრში ჩატარდა მენეჯმენტის ტრენინგი აღსრულების ეროვნული ბიუროს სამუშაო და ზედა რგოლის მენეჯერებისათვის. ტრენინგის მიზანია ზოგადი მენეჯმენტის საკითხებზე თანამშრომელთა ცოდნის დონის გაღრმავება და შესაბამისი უნარების განვითარება, რაც

ხელს შეუწყობს ორგანიზაციული მართვის პროცესების გაუმჯობესებას. ტრენინგს ესწრებოდა 17 ადამიანი.

2. 2014 წლის 17-19 ოქტომბერს, მენეჯმენტის ტრენინგს აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელთათვის დაესწრო 13 მონაწილე.

3. 2014 წლის 31 ოქტომბერი -2 ნოემბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრში მენეჯმენტის ტრენინგი ჩატარდა აღსრულების ეროვნული ბიუროს 16 თანამშრომელს.

### ტესტირება

2014 წლის დეკემბრის თვეში ყვარლის სასწავლო ცენტრში ტესტირება ჩატარდა საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველ 581 ადამიანს, ყვარლის, ლაგოდეხის და თელავის მუნიციპალიტეტებიდან:

- საჯარო მოხელეთა ტესტირება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის (212 მონაწილე)
- საჯარო მოხელეთა ტესტირება ყვარლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის (136 მონაწილე)
- საჯარო მოხელეთა ტესტირება თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის (233 მონაწილე)

2014 წელს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო - ყვარლის სასწავლო ცენტრი ასევე მანსპინძლობდა სხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს. ჩატარდა მრავალი, განსხვავებული პროფილის ღონისძიება, მათ შორის ტრენინგები, კონფერენციები და სხვა.

აღსანიშნავია წარმატებული პროექტი მოწმის გამოკითხვის ტრენინგი :

2014 წლის 20 იანვრიდან 24 იანვრის ჩათვლით ყვარლის სასწავლო ცენტრში მოწმის გამოკითხვის რიგით მეოთხე, ხუთდღიანი ტრენინგი გაიმართა. ტრენინგს პროკურატურის, შსს-სა და ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივი თანამშრომლები ესწრებოდნენ- 22 მონაწილე.

ტრენინგის მიზანია, საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. კერძოდ, 2013 წელს საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტით „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ განსაზღვრული მოწმის დაკითხვის ახალი პროცედურების ამოქმედებამდე სახელმწიფო წარმომადგენელთა გადამზადება, რაც ხელს



შეუწყობს მათ ეფექტიანი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებასა და, უზრუნველყოფს პოტენციურ მოწმეებთან პროფესიულ კომუნიკაციას კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. ტრენინგს სპეციალურად მოწვეული ამერიკელი ექსპერტები უძღვებიან. პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში 9 ტრენინგი ჩატარდება და 140-მდე სახელმწიფო წარმომადგენელი გადამზადდება. იუსტიციის სასწავლო ცენტრი 'მოწმეთა გამოკითხვის' პროგრამის ადმინისტრირებასა და კოორდინაციას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა (INL) და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით უზრუნველყოფს.

### **თურქეთის იუსტიციის აკადემიის ვიზიტი ყვარლის სასწავლო ცენტრში**

2014 წლის 8-10 აპრილს ყვარლის სასწავლო ცენტრს თურქეთის იუსტიციის აკადემიის 7 კაციანი დელეგაცია ესტუმრა. თურქეთის იუსტიციის აკადემიის ვიცე პრეზიდენტები და მოსამართლეები ადგილზე გაეცნენ სასწავლო ცენტრის რეგიონულ ოფისში არსებულ ინფრასტრუქტურასა და სერვისებს. გადაწყდა, რომ ერთობლივი პროექტები სწორედ იუსტიციის სასწავლო ცენტრის რეგიონულ ოფისში გაიმართება. ასევე თურქულმა მხარემ გამოთქვა ინიციატივა ყვარლის ფილიალის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მათ ქვეყანაში მოქმედ სხვადასხვა უნივერსიტეტებს. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა მოახდინეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების წარდგენა, დააზუსტეს მემორანდუმის ტექსტი და განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა პრიორიტეტული საკითხები, რომელზეც გაგრძელდება ერთობლივად მუშაობა. გაიწერა კონკრეტული სამოქმედო გეგმა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომდევნო სამუშაო შეხვედრა გაიმართება ანკარაში, თურქეთის იუსტიციის აკადემიაში.

### **წითელი ჯვარი**

2014 წლის 16-18 მაისს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვარი“-ს სამუშაო შეხვედრა, რომელსაც 32 ადამიანი ესწრებოდა.

ყვარლის სასწავლო ცენტრის სტუმრები ასევე იყვნენ:

1. 2014 წლის 5-7 ივნისს, ყვარლის სასწავლო ცენტრის მომსახურებით, **გასვლითი სამუშაო შეხვედრისთვის**, ისარგებლა შპს „ECI“ , „კახეთის ღვინის მარანი“ , შეხვედრას ესწრებოდა **8 მონაწილე**.

2. 2014 წლის 25 ივნისს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ, ყვარელში გამართულ ტრენინგს „პროექტის იდეიდან განხორციელებამდე“ , დაესწრო ქვეყნის მასშტაბით 55 წარჩინებული უფროსკლასელი.

3. 2014 წლის 27-29 ივნისს, ყვარლის სასწავლო ცენტრში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“-ს თანამშრომლებს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრენინგების მიერ ჩატარდა ტრენინგი „სააღსრულებო წარმოება“ , რომელსაც 9 მონაწილე დაესწრო.

4. JILEP-ის ორგანიზებით ყვარელში, 3-5 ოქტომბერს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 19 ადამიანი.

5. 2014 წლის 7-10 ოქტომბერს ICMPD (International Center for Migration Policy Development) ის ორგანიზებით, ყვარლის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგი PR მენეჯერებისათვის, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები - 25 მონაწილე.

6. 2014 წლის 10-12 ოქტომბერს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის კომპლექსში UNDP-ის დაფინანსებითა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის. ტრენინგს უძღვებოდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები დიანა ბერეკაშვილი და ეკატერინე ცისკარიძე. ტრენინგის მიზანია იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების მომზადება ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის განსახორციელებლად. ტრენინგს ესწრებოდა 30 მონაწილე.

7. არასამთავრობო ასოციაცია ”ჰერა XXI“-ის ინიციატივით 2014 წლის 22-23 ოქტომბერს ყვარელში გაიმართა ღონისძიება - ”მრგვალი მაგიდა“- უსაფრთხო აბორტი, პრობლემები და გამოწვევები საქართველოში, პროექტის ”უსაფრთხო აბორტი ქალის არჩევანია“-ს ფარგლებში. შეხვედრის მიზანი იყო საინიციატივო ადვოკატირების ჯგუფის ჩამოყალიბება, რეკომენდაციების შემუშავება უსაფრთხო აბორტის სრულყოფილი ზრუნვის, მომსახურების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ექსპერტები (მეან-გინეკოლოგები), საქართველოს პარლამენტის, სამთავრობო სტრუქტურების და ასოციაცია ”ჰერა XXI“-ის პარტნიორი კლინიკის წარმომადგენლები .კონფერენციას 19 ადამიანი დაესწრო.

8. 2014 წლის 24-27 ოქტომბერს ყვარლის სასწავლო ცენტრმა უმასპინძლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია ჯეოსელის ერთობლივ პროექტს - სტუდენტურ-ლიტერატურული კონკურსი - „შემოდგომის ლეგენდა“. ღონისძიებას ესწრებოდა და მონაწილეობდა 40 ადამიანი.
9. 2014 წლის 1-2 ნოემბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“-ს სამუშაო შეხვედრა, რომელსაც 40 მოსამართლე ესწრებოდა.
10. 2014 წლის 3-7 ნოემბერს, **Deutsche welle** -ს ორგანიზებითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით, ყვარლის სასწავლო ცენტრში ჩატარდა „ტრენინგი ჟურნალისტებისთვის სამართლებრივ საკითხებზე“. ტრენინგს დაესწრო 16 ადამიანი.
11. 2014 წლის 10-12 ნოემბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, გაიმართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმიტირებული პროცესი. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ს სტუდენტები და ლექტორები, სულ 25 ადამიანი.
12. 2014 წლის 14-16 ნოემბერს, UNDP -ის მხარდაჭერით, ყვარლის სასწავლო ცენტრში სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“. ტრენინგს ესწრებოდა 28 ადამიანი.
13. 2014 წლის 27-29 ნოემბერს, ყვარელში ჩატარდა ევროპის საბჭოს გასვლითი ღონისძიება, „არასათანადო მოპყრობის საქმეების ეფექტიანი გამოძიების საკითხებზე“. შეხვედრას დაესწრო 37 ადამიანი.
14. 2014 წლის 8-11 დეკემბრის ჩათვლით, ყვარლის სასწავლო ცენტრში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის GIZ ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი „**Training on sustainable management**“. ტრენინგს ესწრებოდა 24 ადამიანი.
15. 2014 წლის 20-21 დეკემბერს, ყვარლის სასწავლო ცენტრში გაიმართა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ეროვნული კომიტეტის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა IRI-ს 32 წარმომადგენელი.